## საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის

## ბრძანება №12

**2015 წლის 1 აგვისტო**

**ქ.თბილისი**

## სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურის ფიცის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 51-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლისა და „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №385 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“ „რ.ა“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

1. დამტკიცდეს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურის ფიცი თანდართული დანართის შესაბამისად.
2. ფიცის დადების ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეციალური წოდების მქონე პირებზე.

**მუხლი 2**

ბრძანება ამოქმედდეს 2015 წლის 1 აგვისტოდან.

**საქართველოს სახელმწიფო
უსაფრთხოების სამსახურის უფროსი** **ვახტანგ გომელაური**

დანართი

## სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურის ფიცი

მე, საქართველოს მოქალაქე, შევდივარ რა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, ვფიცავ:

- ვიყო ერთგული და ღირსეული, დავიცვა ჩემი სამშობლო საქართველო და ვემსახურო საზოგადოებას;
- დავიცვა საქართველოს კონსტიტუცია და კანონები;
- ვიდგე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სადარაჯოზე;
- მტკიცედ დავიცვა სახელმწიფო და სამსახურებრივი საიდუმლოება;
- დავიცვა ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, პოლიტიკური ნეიტრალიტეტი, კანონიერების პრინციპები და თანაზომიერება, არ დავუშვა ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია;
- ვიყო გამბედავი, დამნაშავეობასთან შეურიგებელი და დისციპლინებული თანამშრომელი;
- კეთილსინდისიერად შევასრულო ჩემზე დაკისრებული მოვალეობანი;
- არ დავიშურო ძალა, საჭიროების შემთხვევაში საკუთარი სიცოცხლეც კი, საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, საკუთრებისა და მართლწესრიგის დაცვისათვის.

ხელმოწერა____________________ ____________________